ზოგადი წესები და პირობები - შპს „გებრიუდერ ვაის“

ჩვენი საქმიანობა მთლიანად ხორციელდება წინამდებარე ზოგადი წესებისა და პირობების; და ასევე FIATA-ს ტვირთის გადაგზავნის მომსახურების სამოდელო წესების (შემდგომში „FIATA-ს სამოდელო წესები“), უახლესი ვერსიის მიხედვით, რომელიც ხელმისაწვდომია FIATA-ს ვებ-გვერდზე http://www.fiata.com/uploads/media/Model_Rules_05.pdf, იმ ფარგლებში, რომელშიც არ ეწინააღმდეგება ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო კონვენციების (მაგ.: CMR, MA, CIM და ა.შ.) სავალდებულო დებულებებს. FIATA-ს სამოდელო წესების 8.3.3. ნაწილის მიხედვით, ჩვენი პასუხისმგებლობის ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1.800 SDR. FIATA-ს სამოდელო წესების მე-3 ნაწილის მიხედვით, თქვენი მხრიდან ზუსტი წერილობითი ინსტრუქციების გარეშე არ განხორციელდება ტვირთვის დაზღვევა (მაგ.: შენახული საქონლისთვის).

ჩვენ უფლებამოსილნი ვართ, რომ შიდა და უცხოურმა პარტნიორმა კომპანიებმა შეასრულონ ჩვენთვის მოცემული ნებისმიერი შეკვეთა. იმდენად, რამდენადაც ჩვენ ვართ პასუხისმგებელი მათ ნებისმიერ მომსახურებაზე, რომელსაც გაუწევენ ჩვენს კლიენტს, ჩვენი პასუხისმგებლობა კლიენტის წინაშე შეზღუდულია ჩვენი პარტნიორი კომპანიის პასუხისმგებლობით ჩვენს წინაშე.

კლიენტის მიერ გამოყენებული ნებისმიერი ზოგადი წესები და პირობები არ მიიღება და შესაბამისად არ მიიჩნევა შეთანხმებულად, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ის არ ეწინააღმდეგება ჩვენს ძირითად პირობებს. ზეპირი შეთანხმებები ბათილია.

ჩვენი მოვალეობები, ამ სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე, ნებისმიერ დროს დაექვემდებარება და შესაბამისობაში იქნება ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის სავალდებულო მოთხოვნებთან (კერძოდ, სრულად შეესაბამება ევროპისა და აშშ-ს ემბარგოს კრიტერიუმებს). ხელშეკრულების პირობებსა და კანონით დადგენილ პირობებს ან/და სავალდებულო მოთხოვნებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში, კანონით დადგენილ პირობებს ან/და სავალდებულო მოთხოვნებს აქვთ უპირატესი ძალა, საეჭვოობის შემთხვევაშიც კი. წინამდებარე წესებისა და პირობების მიხედვით, ჩვენს უფლებებზე ზიანის მიუყენებლად, უცხოურ სავაჭრო კანონმდებლობასთან (აკრძალვები და შეზღუდვები) შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება კლიენტს. ჩვენ ვიხსნით ვალდებულებას შევამოწმოთ დაცულია თუ არა აღნიშნული კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და პასუხისმგებლობა, რომ ვიყოთ ინფორმირებულები ნებისმიერი შეზღუდვის ან აკრძალვის შესახებ საქონელთან მიმართებაში, რომელიც უნდა გადაიგზავნოს, ეკისრება კლიენტს, რომელიც დროულად და წერილობით მოგვაწვდის შესაბამის ინფორმაციას. კლიენტი ასევე ვალდებულია, უზრუნველყოს ჩვენთან დაკავშირებული მიწოდების ხაზის უსაფრთხოების გარანტია.

საშიში საქონლის გადატანისას, ARD/RID/IMCO/DGR-ის და სხვათა შესაბამისად, ჩვენ უნდა მივიღოთ ცალკე შეკვეთა. საშიში საქონელი უნდა იყოს შეფუთული და მარკირებული ისე, რომ ის იყოს შესაბამისობაში კანონით დადგენილ მოთხოვნებთან და საერთაშორისო კონვენციასთან, გადაგზავნასთან,

გამოყენებასა და შენახვასთან მიმართებაში და უნდა ერთვოდეს საჭირო საბუთები. საშიში საქონელი, კერძოდ კი ARD 1 და 7 კლასის საქონელი, არ შეიძლება გადმოგვეცეს ჩვენ.

შემდეგი ტიპის საქონელი არ მიიღება ტრანსპორტირებისთვის ან შენახვისთვის: ძვირფასი ნივთები (მოუჭრელი, მოჭრილი ან სხვაგვარად დამუშავებული), სამკაული, ძვირფასი ან ნახევრადძვირფასი ქვა, ბანკნოტები, ნებისმიერი სახის სხვა ფასიანი ქაღალდები, დოკუმენტები, წამლები, რომლებისთვისაც აუცილებელია ტემპერატურის რეგულირება, იარაღი და სამხედრო აღჭურვილობა, შინაური საქონელი, აგრეთვე ნივთიერება, რომლის შენახვა არის სპეციალური სამართლებრივი რეგულირების საგანი (მაგ: წყლისთვის საშიში ნივთიერება).

შეფუთვის დაბრუნება, ისევე, როგორც ანაზღაურება ან/და გადაცვლა მისაღები იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მხარეთა მიერ სპეციალურად იყო წერილობით გათვალისწინებული.

სატვირთო მანქანის ან კონტეინერის ტრანსპორტირების უზრუნველყოფის შემთხვევაში, გაგზავნის დაყოვნების ანგარიშფაქტურა უნდა შედგეს საათობრივად ან წუთებად, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული დრო აჭარბებს ორ საათს, რომელიც მინიჭებულია დატვირთვისა და გადმოტვირთვისთვის.

საგადასახადო ანგარიშფაქტურის გადახდა ხორციელდება დაუყოვნებლივ, ყოველგვარი საგადასახადო გამოქვითვების გარეშე. კურიერთან/მძღოლის მიერ ტვირთის გადაცემისას ნაღდი ანგარიშსწორების შემთხვევაში მაქსიმალური ოდენობა არის შეზღუდული 2000 ლარამდე და ექვემდებარება ეროვნულ და საერთაშორისო შეზღუდვებს. ჩვენი შემოთავაზებები არ არის სავალდებულო ძალის და ექვემდებარება დადასტურებას. უფრო მეტიც, ჩვენ ვიტოვებთ უფლებას რომ შევცვალოთ ფრახტის ტარიფები ნებისმიერ დროს წინასწარი შეტყობინების გარეშე.

თქვენ მიერ გამოხატული ზუსტი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ჩვენ უზრუნველვყოფთ სატრანსპორტო საქონლის დაზღვევას და ისეთი რისკების წინააღმდეგ, როგორიცაა ხანძრის, ქურდობისა და სტიქიური მოვლენების შედეგად მიღებული ზარალი. ჩვენ გირჩევთ, რომ ისარგებლოთ საქონლის გადაზიდვის დაზღვევით ის საქონლისთვის, რომლის ღირებულებაც აღემატება 10 ევროს ყოველ კილოგრამზე, ასევე სენსიტიური საქონელისა (მაგ: მსხვრევადი საქონელი) და საერთაშორისო გადაზიდვისთვის. შესაძლო რისკების დაზღვევა არ იმოქმედებს, თუ გაეროს ან/და ევროკავშირის სანქციები ან/და სხვა შესაბამისი ეროვნული ეკონომიკური ან სამართლებრივი ნორმები დააბრკოლებენ გადაზიდვის პროცესს.

ამ შემოთავაზების კონფიდენციალურობა უნდა იყოს დაცული და არ უნდა გამჟღავნდეს მესამე პირებთან.

იმოქმედებს საქართველოს კანომდებლობის, გარდა საერთაშორისო კერძო სამართლის პრინციპებისა. თბილისი (საქართველო) და ჩვენი შესაბამისი ფილიალის ადგილმდებარეობა ჩაითვლება შეთანხმებულ იურისდიქციის ადგილად.

ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, რომ შევიტანოთ სარჩელი ჩვენი კლიენტის წინააღმდეგ ნებისმიერ სხვა სამართლებრივად განსჯად სასამართლოში.